

„ქარელის ეტალონი მოსწავლე“ გამოვლინდა

08 მაისი 2017

„ეტალონმა“ მორიგი ინტელექტ-ჩემპიონატი ქარელში, N2 საჯარო სკოლაში ჩაატარა და გამოავლინა 2016–2017 წლების „ქარელის ეტალონი მოსწავლე“, რომელიც სოფელ მოხისის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე, ლიკა ნავროზაშვილი გახდა. მან 85 ქულა დააგროვა. ინტელექტ-შეჯიბრში ქარელის სკოლებიდან გამორჩეული ახალგაზრდები მონაწილეობენ. ღონისძიებას შიდა ქართლის გუბერნატორი, კახა სამხარაძე, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ზაზა გულიაშვილი და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი, გიორგი თოთლაძე ესწრებოდნენ. გამარჯვებული დიპლოით სამხარაძემ დააჯილდოვა და წარმატება უსურვა. დღევანდელ შეჯიბრში გამარჯვებულს "ქარელის ეტალონი მოსწავლის" ტიტული მიენიჭება და ის გაზაფხულზე, ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას.